საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1107

19/11/2019

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „კრიალას" ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის''47-ე მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისში, შპს „კრიალას" ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება N5; 29.10.2019;
2. შპს ,,კრიალამ'' უზრუნველყოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკისა და N5; 29.10.2019; გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში შესრულება;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,კრიალას'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კრიალას'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება 5 კალენდარული დღის ვადაში განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი